



მ. 2

ისრაელის სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის მინისტრის ვიზიტი საქართველოში



- ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან სურსათთან უვნებლობაში
მყოფი ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის მოხმარების
რეგულირების საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა

მ. 3



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ორი ახალი მოადგილე წარადგინა



ლაშა ავილიანი



ზურაბ ჯურაბიძე

მ. 3-4

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
მცხეთა-მთიანეთის რეგიონში იმყოფებოდა
დავით სოლელაშვილი: „რეგიონებში რეგულარული შეხვედრები რვენი
სამუშაო პროცესის შემადგენელი ნაწილია“



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროში 3-თვიან ანგაზღვრებად სტაჟირებას 339
ახალგაზრდა გაივლის

მ. 5



მ. 5



ლიკლომათიური რთველი

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა და გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრმა დავით სოლელაშვილმა საქართველოში აკრედიტებული
ლიკლომათიური კორპუსის წარმომადგენლებს „ლიკლომათიურ რთველში“ უმასპინძლეს

მ. 6



ქართული ღვინის პოპულარიზაცია საერთაშორისო სტრატეგიულ ბაზრებზე

მ. 7

ჩინეთში საერთაშორისო გამოფანაზე „SIAL SHENZHEN“
ქართული პავილიონი იყო წარმოდგენილი



მ. 8-10



სხვადასხვა სახეობის სასოფლო- სამეურნეო კულტურის 30 ნიმუშიდან არს ერთი სახეობა არ შეიძლება გმო მარკარს

- გურჯაანში, 29 000 ჰა-მდე ფართობზე ტყის
ინვენტარიზაციის სამუშაოები მიმდინარეობს
- საქართველოს ტყის იმეიათი სახეობა
ხემაჩნყვა (Arbutus andrachne L)
- მყინვარები - დედამიწის უნიკალური
გეოგრაფიული ნაწილი



- ალგეთის ეროვნულ პარკში მოწყობილ
კეთილმოხილი კავკასიური ირმის სამენ
მეურნეობას ორი ხარირეში შეემატა

მ. 11



წარმატებული პროექტები

მ. 12-13



საქართველოს უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობა

მ. 14-15

- რძის პროდუქტებში
აფლატოქსინის რისკის
მინიმიზაციის რეკომენდაციები

- თანამედროვე მომსახურება
და სტანდარტები
ვეტერინარიაში

მ. 16



საქართველოს ბიომრავალფეროვნება


• ინდური მარგვლარა • ზამილის წმინდადამხვარა • დალის სვლივი • ეიხლარის ტიბა



ისრაელის სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის მინისტრის ვიზიტი საქართველოში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ისრაელის სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის მინისტრს ავი დიხტერს შეხვდა.

„ორ ქვეყანას შორის არსებობს დიდი შესაძლებლობები როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ვაჭრობის, ასევე გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. სწორედ ამ საკითხზე ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს იმ პრიორიტეტებს, რაც ორივე ქვეყნის ინტერესებშია. მომზადდება მემორანდუმი, რომელიც მომავალში გაფორმდება და გახდება ძლიერი საფუძველი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისთვის“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.



ვიზიტის ფარგლებში ავი დიხტერი, ისრაელის ელჩ ვალიდ აბუ ჰაიასთან და მინისტრის მოადგილე ლაშა დოლიძესთან ერთად, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის საცდელ-სადემონსტრაციო ბაზას ეწვია.

ბაზაზე ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით 2023 წელს აშენდა ჰიდროპონიკის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათბური, რომელიც ფერმერებსა და სტუდენტებს ინოვაციური მეთოდების შესწავლის შესაძლებლობას აძლევს.

მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა სადემონსტრაციო ჰაბის შექმნის მნიშვნელობას, სადაც ქართველი და უცხოელი სპეციალისტები გამოცდილებას გაცვლიან.



ბიზნესსაერთო ჩარეომადგენლებთან სურსათთან უზრუნველყოფაში მყოფი ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის მოხმარების რეგულირების საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, პლასტიკის პროდუქციის მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებთან გამართულ სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა ისეთი მოდელის შემუშავების და დანერგვის აუცილებლობაზე იმსჯელეს, რომელიც დააბალანსებს ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის და ეკონომიკურ ინტერესებს, უზრუნველყოფს რეგულაციების გონივრულ ვადებში დანერგვას და ხელს შეუწყობს როგორც ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ისე კერძო სექტორის მდგრად განვითარებას.

„სამინისტრო აქტიურად მუშაობს ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის რეგულირებაზე. განსაკუთრებით იმ პროდუქციის მიმართ, რომელიც სურსათთან პირდაპირ კონტაქტშია. რეგულაციები ითვალისწინებს როგორც გარემოსდაცვით, ასევე ჯანმრთელობის დაცვის და სურსათის უვნებლობის ასპექტებს. ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განვიხილეთ რეგულაციის სიკეთეები, ასევე მოვისმინეთ ბიზნესის

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

გადაწყდა სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც იმუშავებს სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის მიმართულებით და მომზადდება თანამშრომლობის მემორანდუმი.

აღინიშნა, რომ საქართველოს შეუძლია ისრაელის ბაზარზე კონკურენტული გახდეს ღვინით, თაფლითა და მშრალი ხილით, ხოლო ისრაელიდან საქართველოში გაიზარდოს თანამედროვე აგროტექნოლოგიებისა და სარწყავი სისტემების იმპორტი.



დელეგაცია შიდა ქართლში, შპს „დს ფიშ გრუპის“ თევზსაშენ მეურნეობასაც ესტუმრა. კომპანია სახელმწიფოს მხარდაჭერით ფუნქციონირებს და პროექტით „შედავათიანი აგროკრედიტი“ არაერთხელ ისარგებლა. მისი წლიური წარმადობა 250 ტონას შეადგენს და 100-ზე მეტი დასაქმებული ჰყავს. ნედლი თევზისა და გადამუშავებული თევზის რეალიზაცია კომპანიის ბრენდულ მაღაზიასა და რესტორანში ხდება. ისრაელის მხარე საქართველოში აგროსასურსათო მეურნეობების საქმიანობით, მათ შორის, თევზის წარმოების შესაძლებლობით დაინტერესდა.



„ეს ჩემი პირველი ვიზიტია საქართველოში და ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა მექონდა მინისტრთან და სამინისტროს მთელ გუნდთან. ვაპირებთ შევქმნათ ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე. რათა კიდევ ერთი საფეხურით წინ წავიწიოთ. ჩვენ ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი, ბევრი რამ ჯერ კიდევ გვაქვს სასწავლი ერთმანეთისგან“, - განაცხადა ავი დიხტერმა.



შესაძლო გამოწვევები, ვისაუბრეთ კონკრეტულ დეტალებზე და გონივრულ ვადებზე, რომლითაც შესაძლებელი იქნება ახალი სტანდარტებისა და მოთხოვნების ეტაპობრივად დანერგვა“, - განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

შეხვედრაზე საქართველოს ბიზნეს ასოციაციის და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა ახალ რეგულაციაზე გადასვლის ვადებზე გაამახვილეს ყურადღება.

„მივიღეთ ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება პლასტიკის გარკვეული პროდუქციის იმპორტის და ბაზარზე განთავსების აკრძალვას. მნიშვნელოვანია, რომ გადასვლა ახალ რეგულაციებზე მოხდეს ეტაპობრივად და უმტკივნეულოდ“, - აღნიშნა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის პირველმა მოადგილემ, აკაკი საღირაშვილმა.

შპს „ლანჩგრუპის“ დირექტორის, ნინო მელაძის განცხადებით, ბიზნესისთვის მარტივი არ იქნება ახალ რეგულაციაზე გადაწყობა.

„ერთმანეთთან მოლაპარაკების გზით, შესაძლებელია რეგულაციის ამოქმედების ვადებზე შეთანხმება. იმპორტიორებისთვის უფრო მარტივი იქნება, ვიდრე მწარმოებლებისთვის, თუმცა დაუძლეველი არაფერია“, - განაცხადა ნინო მელაძემ.

აღსანიშნავია, რომ პლასტმასის ჭარბი მოხმარება დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით გამოწვევას წარმოადგენს.

საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებით, ქვეყანა ყოველწლიურად დაახლოებით 612,5 მილიონ ერთეულ ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის ჭიქას, თავსახურს, საკვების კონტეინერს, დანას, ჩანგალს, კოვზს, ე.წ. „სანრუბს“, თევზს და სასმლის მოსარევეს მოიხმარს, რაც 3.9 - 5.9 ათას ტონას შეადგენს.

სამინისტროში გამართულ შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები სოლომონ პავლიაშვილი, კახა კაკაბაძე, ზურაბ ეზუგბაია და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ორი ახალი მოადგილე წარადგინა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა თანამშრომლებს ორი ახალი მოადგილე - ლაშა ავალიანი და ზურაბ ეზუგბაია წარუდგინა. მინისტრმა გუნდის ახალ წევრებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ მათი გამოცდილება და ხედვები სამინისტროს საქმიანობას კიდევ უფრო გაააქტიურებს.



ლაშა ავალიანს დამთავრებული აქვს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტი, ფლობს დოქტორის ხარისხს პარაზიტოლოგიის მიმართულებით. მინისტრის ახალ მოადგილეს სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ლაშა ავალიანი 2015-2019 წლებში ხელმძღვანელობდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტს; შემდგომ იკავებდა უფროსის მოადგილის პოზიციას აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) პროექტში „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“. მინისტრის მოადგილის მოვალეობის შესრულებას ლაშა ავალიანი 22 სექტემბრიდან შეუდგა.



ზურაბ ეზუგბაიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება სახელმწიფო და კერძო სექტორში.

მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, საქართველოს პარლამენტში, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა და ნავთობისა და გაზის კორპორაციაში; იუსტიციის სამინისტროში იკავებდა სხვადასხვა წამყვან პოზიციას, მათ შორის, 2001–2003 წლებში იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობას.

ზურაბ ეზუგბაია მინისტრის მოადგილის მოვალეობის შესრულებას სამი სექტემბრიდან შეუდგა.

მინისტრი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

დავით სონღულაშვილი: „რეგიონებში რეგულარულად ვმართავთ შეხვედრებს, სადაც ადგილზე ვეცნობით ჩვენი სამსახურების სამუშაო პირობებს. ასევე რეგულარული შეხვედრები გვაქვს მენარმეებთან. მნიშვნელოვანია, რომ ადგილზევე ვნახოთ რა გამოწვევების წინაშე დგანან, ადგილზე გავეცნოთ ყველა იმ მოცემულობას, რომელიც როგორც რეგიონული სამსახურების ჭრილში, ასევე, სექტორთან მიმართებით

არსებობს და მოვახდინოთ ოპერატიული რეაგირებები იმისათვის, რომ დარგი იყოს უფრო ძლიერი და განვითარებული.

აქტიურად ხორციელდება სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების რეგიონულ სამსახურებში სამუშაო გარემოს გაუმჯობესების პროცესი. მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განახლება, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ჩვენს თანამშრომლებს ჰქონდეთ

შესაბამისი სამუშაო გარემო და შეძლონ იმ გამომწვევებთან გამკლავება და შესაბამისი რეაგირება, რომელიც რეგიონებთან მიმართებით არსებობს.

სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია; გარემოსდაცვითი მიმართულებები ჩვენი სამინისტროს პრიორიტეტია; შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს ორივე მიმართულებით რეგიონებში არსებული მოცემულობების და გამოწვევების გაცნობა და შესაბამისი რეაგირებებზე მსჯელობა“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

მინისტრი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ადგილობრივ მეწარმეებს და სამინისტროს

სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს შეხვდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალ რეგიონულ ოფისში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზაზე, ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონულ სამსახურსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს ოფისში გამართულ შეხვედრებზე დავით სონღულაშვილმა ყურადღება სამსახურების გამართული ფუნქციონირებისთვის ინფრასტრუქტურის და სამუშაო პირობების მნიშვნელობაზე გაამახვილა.

მინისტრი მცხეთა-მთიანეთში ასევე იმყოფებოდა პურ-ფუნთუშეულის საწარმოში „ფუდ ალიანსი“, ხილის გადამამუშავებელ საწარმოში „კავკასუს ორგანიკ ფრუთსი“ და შპს „ქანდა აგრიქალჩერის“ ატმის ბაღში.

დავით სონღულაშვილი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს ოფისში მიმდინარე სარეგისტრაციო სამუშაოებს გაეცნო



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველო ცალკე ტერიტორიულ ორგანოდ 2 წლის წინ ჩამოყალიბდა. 2023 წლამდე, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოები ერთ ტერიტორიულ ორგანოში - აღმოსავლეთის რეგიონულ სამმართველოში იყო გაერთიანებული.

მინისტრი დავით სონღულაშვილი მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და მათ სამუშაო პირობებს ადგილზე გაეცნო



საკითხებზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ მეტყვევის პროფესია საპასუხისმგებლო და, ამავე დროს, რთული და მაღალი რისკის შემცველია. დავით სონღულაშვილმა ყურადღება მეტყვევების სოციალურ გარანტიებსა და იმ საკანონმდებლო სიახლეებზე გაამახვილა, რომლებიც დასაქმებულთა მოტივაციას ზრდის.

დავით სონღულაშვილი: „სახელმწიფოს მხარდაჭერით, სულ უფრო მზარდია წარმოება, რაც კონკრეტულ რიცხვებშია ასახული“

მინისტრმა ნატახტარში მდებარე გაყინული პურ-ფუნთუშეულის საწარმო შპს „ფუდ ალიანსი“ დაათვალიერა.

დავით სონღულაშვილმა ქვეყანაში წარმოების ზრდის ტენდენციებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სახელმწიფო პროგრამებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა აგრარული დარგის განვითარებაში. შედეგად, გაზრდილია წარმოება. ქართული პროდუქცია საკუთარ ადგილს იმკვიდრებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

შპს „ფუდ ალიანსი“ სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია. კომპანიამ წარმოების გაფართოებისა და ტექნოლოგიური განახლებისთვის არაერთხელ ისარგებლა პროექტით „შედავითიანი აგროკრედიტი“. საწარმოს, რომელიც 80-მდე სახეობის პროდუქციას აწარმოებს, 135 დასაქმებული ჰყავს.

პროდუქციის რეალიზაცია საქართველოს

მასშტაბით, ჰორეკა სექტორსა და სხვადასხვა ქსელურ მაღაზიებში ხდება. საწარმო უახლესი ტექნოლოგიებით, დანადგარებით და სამაცივრე მოწყობილობებით არის აღჭურვილი; დანერგილია სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტი - FSSC 22000.



დავით სონღულაშვილმა ნატახტარში სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი შენობა გახსნა

„სურსათის ეროვნულ სააგენტოს მცხეთა-მთიანეთში საკუთარი ოფისი ექნება, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ თანამშრომლებს ჰქონდეთ შესაბამისი სამუშაო პირობები, ხოლო რეგიონის მოსახლეობას შესაძლებლობა, მიიღოს მაღალი ხარისხის მომსახურება და ისარგებლოს სახელმწიფო პროგრამებით“, – აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

სურსათის ეროვნული სააგენტო ყველა მუნიციპალიტეტში უწყვეტად ახორციელებს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი კვების ობიექტების,



საბავშვო ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკების, სასაკლაოების და ხორცის სარეალიზაციო მაღაზიების შემოწმებას.

მესაქონლეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ის ვეტერინარული მანიპულაციები, რომლებსაც სააგენტოს ვეტერინარები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ, მათ შორის, ცხოველების უფასო ვაქცინაცია შემდეგ დაავადებებზე: ცოფი, ჯილეხი, თურქული, ბრუცელოზი; აქტიურად მიმდინარეობს მცენარეთა მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებებიც.

სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შექმნილი საწარმო მშრალი ხილის ექსპორტს გერმანიაში ახორციელებს

დავით სონღულაშვილი მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მისაქციელში ხილის გადამამუშავებელ საწარმოში მიმდინარე სამუშაო პროცესს გაეცნო.

ხილის გადამამუშავებელი საწარმო „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“ სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითაა შექმნილი. კომპანია სახელმწიფო პროექტებით „შელავათიანი აგროკრედიტი“ და „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“ სარგებლობს. საწარმოს 35 ტონა ჩირის წარმოების შესაძლებლობა აქვს, რისთვისაც ადგილობრივ ნედლეულს იყენებს. პროდუქცია საექსპორტოა და გერმანიაში იყიდება.



აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში 111 გადამამუშავებელი საწარმოა შექმნილი. სააგენტოს თანადაფინანსება 51 მლნ ლარს აღემატება. მათ შორის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 5,3 მლნ ლარით თანადაფინანსებულია 11 გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა.

დავით სონღულაშვილი: „ჩვენი მიზანია, კიდევ უფრო გავზარდოთ თანამედროვე ცოდნასა და პრაქტიკაზე წვდომის შესაძლებლობები“

მინისტრი წილკანში, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე იმყოფებოდა, სადაც ლაბორატორიების ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს შეხვდა და მიმდინარე საქმიანობას ადგილზე გაეცნო.

წილკანის ბაზა ერთ-ერთი მთავარი ცენტრია, სადაც ერთიანდება ნიადაგის, თესლისა და სარგავი მასალის, ქსოვილის კულტურისა და დნმ-ის ლაბორატორიები; აქვე მოქმედებს სერტიფიცირების პროცედურებისათვის საჭირო სათესლე მასალის შესანახი საცავი და მეაბრეშუმეობის ბაზა, სადაც მიმდინარეობს თუთის აბრეშუმხვევიას ქართული და ინტროდუცირებული



ჯიშების შენარჩუნება, გაუმჯობესება, ახალი ჯიშების გამოყვანა და, მოთხოვნის შემთხვევაში, ფერმერული მეურნეობებისთვის წარმოება.

ბაზის ტერიტორიაზე, ისრაელის საელჩოს დაფინანსებითა და MASHAV-ის პროგრამის ფარგლებში, მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სადემონსტრაციო პაბი, ევრანული სათბური, სადაც ფერმერებისა და სტუდენტებისთვის რეგულარულად ტარდება ტრენინგები და გადამზადების კურსები.

დავით სონღულაშვილი, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელს ქანდაში იმყოფებოდა, სადაც შპს „ქანდა აგრიქალჩერის“ ატმის ბაღში მოსავლის აღების პროცესს გაეცნო. მინისტრი ფერმერებსაც შეხვდა და არსებული საჭიროებების შესახებ მოისმინა ინფორმაცია

შპს „ქანდა აგრიქალჩერი“ სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარია. კომპანიას ნუშის, ვაშლის, მსხლის, ატმის, ვაშლატამას, ბრტყელი ატმის, ქლიავის, გარგარისა და ბლის ბაღები 110 ჰა-ზე აქვს გაშენებული. კომპანია მოსავლის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახდენს.



სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში ახალი მრავალწლოვანი ბაღების გაშენება 25,000 ჰექტარზე მეტ ფართობზე თანადაფინანსებულია 200 მლნ ლარზე მეტით, მათ შორის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, დაახლოებით, 359 ჰექტარზე 2,6 მლნ ლარით.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძე, სახელმწიფო რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში ალექსანდრე ზაგაშვილი, მცხეთა-მთიანეთის დელეგატი დიმიტრი ხუნდაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ხელმძღვანელები იმყოფებოდნენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 3-თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას 339 ახალგაზრდა გაივლის

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი უწყებები ანაზღაურებადი სტაჟირების სამთავრობო პროგრამის ფარგლებში სტაჟირების მიღებას იწყებენ.

უწყების ინფორმაციით, შერჩეული კანდიდატები სტაჟირებას 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაივლიან. პროგრამა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის ინიციატივით მიმდინარეობს, განკუთვნილია სტუდენტებისა და

კურსდამთავრებულებისთვის, რომლებსაც პრაქტიკული გამოცდილების მიღება სახელმწიფო უწყებაში სურთ.

სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებში გამოცხადებულ 339 ვაკანტურ ადგილზე განაცხადი 2469 ახალგაზრდამ შემოიტანა. დაცული ტერიტორიების სააგენტო სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე 27 სტაჟიორს მიიღებს. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში გამოცხადებულია 15 ვაკანტური პოზიცია, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. სურსათის ეროვნული სააგენტო ქვეყნის მასშტაბით 105 სტაჟიორს მიიღებს სურსათის უვნებლობის ვეტერინარისა


და მცენარეთა დაცვის მიმართულებით. ღვინის ეროვნულ სააგენტოში სტაჟირების შესაძლებლობა 2 კანდიდატს ექნება.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი 3-თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას 4 პოზიციაზე სთავაზობს ახალგაზრდებს, ხოლო ველური ბუნების ეროვნული სააგენტო - 2-ზე. ეროვნულ სატყეო სააგენტოში გამოცხადებულია 94 პოზიცია, ძირითადად მეტყვევობის მიმართულებით. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოში სტაჟირების კონკურსი 7 პოზიციაზეა გამოცხადებული, ხოლო გარემოს ეროვნულ სააგენტოში - 26, მათ შორის

უმეტესად ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ანაზღაურებად სტაჟირებას 14 სტაჟიორს ცენტრალურ და რეგიონულ ლაბორატორიებში სთავაზობს. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 3 სტაჟიორის მიღებას გეგმავს. მინის მდგრადი მართვისა და მინათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოში - 5, ხოლო მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტში 3 ვაკანტური ადგილი არის ხელმისაწვდომი. რაც შეეხება შპს „საქართველოს მელიორაციას“, ის ანაზღაურებად სტაჟირებას 8 ახალგაზრდას სთავაზობს.

გასულ წელს ანალოგიური პროგრამის ფარგლებში სამინისტროში სტაჟირება 69 ახალგაზრდამ გაიარა, რომელთაგან 19 უკვე სამინისტროს სისტემაში მუშაობს.



საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონდულაშვილმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს „დიპლომატიურ რთველში“ უმასპინძლეს

რთველი გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მატო „ზეგანში“ გაიმართა, სადაც დიპლომატებმა ყურძნის კრეფაში მიიღეს მონაწილეობა და საწნახელში ყურძნის დაწურვაში ჩაერთვნენ. სტუმრება ქარხნის ტერიტორიაზე გაშენებული ვაზის უნიკალური ჯიშებიც დაათვალიერეს და თანამედროვე ტექნოლოგიებს გაეცნენ. გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია და კულინარიული მასტერკლასები.

„კახეთში რთველია, ერთ-ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი პერიოდი საქართველოსთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ელჩების ვიზიტი კახეთში. ისინი ადგილზე გაეცნენ როგორც რთველის მიმდინარეობის პროცესს, ასევე 8000 წლიანი ისტორიის მქონე უძველეს ტრადიციას, რომელიც არ არის მხოლოდ მოსავლის აღება, ეს არის ქართული კულტურის, ქართული იდენტობის ნაწილი“, - განაცხადა დავით სონდულაშვილმა.

„დიპლომატიურ რთველში“ კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალაღაშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუბლა მონაწილეობდნენ.



რთველი
2025

25 სექტემბრის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 122 ათასი ტონა ყურძენი. მოსავლის დაბინავება კახეთის რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. ღვინის საწარმოებს ყურძენი 9500-მდე მევენახემ ჩააბარა.

ღვინის საწარმოების მიერ გადამუშავებული ყურძნიდან 57 ათას ტონამდე რქაწითელი, 56,4 ათას ტონამდე საფერავი, დანარჩენი კი, სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 480 ღვინის კომპანია/მარანი, რომლებიც ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში ეტაპობრივად ერთვებიან (252



მათგანი რთველის პროცესში სხვადასხვა ეტაპზე იყო ჩართული).

ადსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, ჭარბ ყურძენს სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ ხარისხის მიხედვით დიფერენცირებულ ფასად იბარებს:

კახეთის რეგიონში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძენს - 1.50 ლარად, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართულ სხვა საღვინე ჯიშებს - 1.20 ლარად, არაკონდიციურ და დაზიანებულ/ან დაავადებულ ყურძენს - 1.00 ლარად. კახეთის რეგიონში ღვინის კერძო კომპანიებზე სუბსი-დია აღარ გაიცემა.

რთველთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე – 1501 და რთველის საკოორდინაციო შტაბის ცხელი ხაზზე – 0322 193 283.





ქართული ღვინის წარდგენა გერმანიის ქალაქ დუსელდორფში გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და ცნობილი გერმანელი ინფლუენსერის და სომელიეს, ტონი ასკიტის (Toni Askitis) ორგანიზებით, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა.

ტონი ასკიტის საკუთარ პოპულარულ არხზე #Asktoni ღვინის სფეროს სიახლეებს და ტენდენციებს გადმოსცემს.

სხვადასხვა სახეობის ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა ტონი ასკიტის ღვინის ბარში „Pelican Fly“ და ასევე ადგილობრივ პარკში დეგუსტაციაზე სახელწოდებით - “Tasting in the park”.

ევროპაში ღვინის უდიდესი იმპორტიორი ქვეყანა გერმანია ქართული ღვინის სტრატეგიული ბაზრების ჩამონათვალს 2020

წლიდან დაემატა და საექსპორტო ქვეყნების ათეულში სტაბილურად დაიმკვიდრა ადგილი. ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, აქტიური კამპანია გერმანიაში მიმდინარე წელსაც გრძელდება. კამპანიის ფარგლებში, დეგუსტაცია-სემინარები გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ღვინის პროფესიონალების, ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისა და მომხმარებლებისთვის იმართება; ქართული

ღვინო წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფენებზე, ხორციელდება მიზნობრივი სარეკლამო და მედია კამპანიები; გარდა

ამისა, მედიის, სომელიეებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოში.



ქართული ღვინის წარდგენა იაპონიაში გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Red Bridge“ ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში გაიმართა.

საქართველოს მეღვინეობის კულტურის, ისტორიის, ვაზის ჯიშებისა და ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია „Red Bridge“-ის დირექტორმა, იაპონიაში ერთადერთმა ღვინის მაგისტრმა, კენიჩი ოჰაშიმ გამართა. მანვე სტუმრებს 8 ქართული ღვინო წარუდგინა საქართველოს მეღვინეობის სხვადასხვა რეგიონიდან. ღვინის დეგუსტაციის, იმპორტიორები, ბაიერები, სავაჭრო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლები, ჯამში 100-მდე სტუმარი დაესწრო.

საპორტო ქალაქი ფუკუოკა, იაპონიის მნიშვნელოვან ინდუსტრიულ ცენტრად ითვლება. აღნიშნულ ქალაქში

განხორციელებული მარკეტინგული აქტივობები მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციის გაზრდისთვის როგორც ფუკუოკას პრეფექტურაში, ისე, ზოგადად, იაპონიის ღვინის ბაზარზე.

მარკეტინგულ კომპანიასთან „Red Bridge“ ღვინის ეროვნული სააგენტო 2017 წლიდან თანამშრომლობს. მისი საქმიანობა იაპონიის სტრატეგიულ ბაზარზე ქართული ღვინის სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებას მოიცავს. აღნიშნული ღონისძიებების მიზანი იაპონიის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობის და, შესაბამისად, მოთხოვნის ზრდის ხელშეწყობაა.



ღვინის ეროვნული სააგენტოს და მარკეტინგული კომპანიის „COLANGELO & PARTNERS“ მხარდაჭერით, საქართველოში ღვინის ბაზარზე

14 კაციანი პროფესიონალების ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ „Colangelo & Partners“-ის ქართული ღვინის პოპულარიზაციის კამპანიის მენეჯერი მერიონ ჰელუი და ამერიკის ღვინით ვაჭრობის სექტორის წარმომადგენლები.

ტურის ფარგლებში, ამერიკელი სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის

დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები.

ქართული ღვინის მასტერკლასი და დეგუსტაცია გაიმართა თბილისშიც, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეცნობოდნენ ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანიის ღვინოებს.



„ქართული ღვინოები გლობალურ ასპარეზზე გამოდიან“ სტატია ამ სათაურით ამერიკულ გამოცემებში „THE WINE PALATE“ გამოქვეყნდა

სტატიის ავტორი, ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლისა პეროტი-ბრაუნი (Lisa Perrotti-Brown), ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ამერიკელი კომპანიის „Big Sky Ranch Inc“ თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ივლისში ეწვია.



ვიზიტის ფარგლებში, ლისა პეროტი-ბრაუნი ქართული ღვინის მწარმოებელ მარნებსა და კომპანიებს კახეთში ესტუმრა, სადაც ადგილზე დააგემოვნა მრავალფეროვანი ქართული ღვინოები, გაეცნო ღვინის დაყენების ქართულ ტექნოლოგიებს.

ამასთან ერთად, თბილისში, ორი დღის განმავლობაში, სპეციალურ დეგუსტაციაზე ლისა პეროტი-ბრაუნი სხვადასხვა ღვინის კომპანიის 100-მდე ღვინო დააგემოვნა. ღვინის მაგისტრის მიერ გასინჯულ ღვინოებზე შეფასებები „The Wine Palate“-ის სტატიამ გამოქვეყნდა. ცნობილ ამერიკელ ღვინის მაგისტრთან თანამშრომლობის მიზანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ონლაინ-გამოცემა „The Wine Palate“ (ღვინის გემო) მოიცავს ექსპერტების მიერ შეფასებული ღვინოების მონაცემთა ბაზას მთელი მსოფლიოდან, განახლებადი ახალი მიმოხილვებით. საიტი შექმნილია, რათა დაეხმაროს მომხმარებლებს, ადვილად იპოვონ სასურველი ღვინოების სტილი

და, ამავდროულად, გაუმჯობესონ ღვინის დაგემოვნების გამოცდილება.

ლისა პეროტი-ბრაუნი საქართველოს მიმდინარე წლის ოქტომბერში ისევ ეწვევა. ამერიკელი ღვინის მაგისტრი, რომელიც ღვინის ინდუსტრიაში 25 წელზე მეტია მოღვაწეობს, ძირითადად, ამერიკულ და ბორდოს ღვინოებს, ასევე, შამპანურს მიმოიხილავს, რასაც ქართული ღვინოებიც დაემატა.

ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2013 წლიდან განხორციელებულმა მიზანმიმართულმა მარკეტინგულმა აქტივობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობის და ექსპორტის ზრდას.





ჩინეთში საერთაშორისო გამოფანაზე SIAL SHENZHEN ქართული კავილიონი იყო წარმოდგენილი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქალაქ შენჯენში გამართულ საერთაშორისო გამოფანაზე SIAL SHENZHEN ქართული ნაციონალური კავილიონი მოეწყო, სადაც რვა ქართულმა კომპანიამ წარადგინა თავისი პროდუქცია.



„უკვე მეორე წელია საქართველოს პავილიონი წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფანაზე SIAL SHENZHEN, საკმაოდ დატვირთული და ინტენსიური შეხვედრები გაიმართა და ჩვენც, მონაწილეების მსგავსად, პოზიტიური მოლოდინები გვაქვს გამოფენის მიმართ“, - განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკა ურუშაძემ საერთაშორისო გამოფანაზე SIAL SHENZHEN დასწრებისას.

გამოფენის ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართული წარმოების თხილს, თაფლს, ღვინოს, წველებსა და წყალს. საერთაშორისო გამოფანაში მონაწილეობდნენ კომპანიები: შპს აჩინებულები, შპს ჰობი, შპს ნათს

ინქორფორეიტიდ, შპს მეღვინეობა ჩელთი, შპს როიალ ნათსი, შპს წინანდალი პლიუსი, შპს ჰელსი ვოთერი და სს თელიანი ველი.

ქართულმა კომპანიებმა, გამოფენის მონაწილეებისა და ვიზიტორების ინტერესი დაიმსახურეს. კომპანიის წარმომადგენლებმა, სავაჭრო კავშირების დამყარების მიზნით შეხვედრები გამართეს.

„შენჯენში გამართულ SIAL-ის გამოფანაზე წარმოდგენილი გვქონდა ქართული პროდუქცია, მათ შორის: თაფლი, ტყემალი, აჯიკა, ჩირი და ტყლაპი. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი წარმომადგენლების მხრიდან საკმაოდ დიდი დაინტერესება დაფიქსირდა. პირველ რიგში, მაღლობას ვუხდით სოფლის განვითარების სააგენტოს, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა,

მონაწილეობა მიგვეღო ასეთ პრესტიჟულ გამოფანაში. კარგი შედეგების მოლოდინი გვაქვს“, - აღნიშნა შპს „ჰობის“ დირექტორმა მიხეილ ჭილაძემ.

გამოფანა ასევე საინტერესო იყო მეღვინეებისთვის და თხილის მწარმოებლებისთვისაც.

„მეღვინეობა „ჩელთი“ პირველად იმყოფებოდა SIAL-ის საერთაშორისო გამოფანაზე ქალაქ შენჯენში. მოხარულები ვართ, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მოგვეცა. გავაფორმეთ ხელშეკრულებაც და შევხვდით ბევრ პოტენციურ პარტნიორს. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ვფიქრობთ, რომ ჩინეთის ბაზარზე აქტიურ მუშაობას გავაგრძელებთ“, - აღნიშნა კომპანიის „ჩელთი“ კომერციულმა დირექტორმა, ანა მირიანაშვილმა.

„სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ჩვენი კომპანია უკვე მეორედ იმყოფებოდა SIAL SHENZHEN-ზე. ჩინეთი მნიშვნელოვანი ბაზარია საქსპორტო მიმართულებით და განსაკუთრებით ჩვენი ინდუსტრიისთვის. საკმაოდ დიდ პოტენციურ კლიენტებთან გვქონდა მოლაპარაკებები“, - აღნიშნა კომპანიის „ნათს ინქორფორეიტიდ“ ექსპორტმენეჯერმა, ირაკლი ჭილაძემ.

„კომპანიამ „როიალ ნათსი“ სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით პირველად მიიღო მონაწილეობა გამოფანაში. საკმაოდ საინტერესოდ ჩატარდა გამოფანა, გვაქვს პოზიტიური მოლოდინები. შევხვდით პოტენციურ მყიდველებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართული პროდუქციის შეძენით“, - აღნიშნა კომპანიის „როიალ ნათსი“ გაყიდვების მენეჯერმა, ნათია ჩიხლაძემ.

SIAL Global Network-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკოლას თრენტოსოუმ ხაზი გაუსვა შენჯენში გამართული საერთაშორისო გამოფენის მნიშვნელობას.

„მოხარული ვარ, რომ გიმასპინძლეთ შენჯენში, რომელიც ქვეყნის ახალგაზრდა და დინამიური ნაწილია. ვცდილობთ, მონაწილეებს გავაცნოთ პოტენციური მყიდველები. ამ რეგიონის სიძლიერე გამოიხატება იმაშიც, რომ ღიაა ინოვაციებისა და ახალი პროდუქციისადმი. შენჯენი ნამდვილად ძალიან საინტერესო ადგილია მსგავსი გამოფენებისთვის“, - განაცხადა SIAL Global Network-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ნიკოლას თრენტოსოუმ.

2025 წელს გამოფანაში SIAL SHENZHEN მონაწილეობა მიიღო 1500-ზე მეტმა კომპანიამ 50-მდე ქვეყნიდან, გამოფენას წელს 70,000-მდე ვიზიტორი სტუმრობდა.

აღსანიშნავია, SIAL გამოფენები გარდა შენჯენისა (SHENZHEN), ტარდება პარიზში, მონრეალში, ტორონტოში, შანხაიში, ნიუ დელში, კუალა ლუმპურსა და ჯაკარტაში.





სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურის 30 ნიმუშიდან არს ერთი სახეობა არ შეიცავს გმო მარკერს



საქართველოში ცოცხალი გენმოდირიცირებული ორგანიზმების (გმო) ინტროდუქცია (გარემოში შეტანა, დათესვა) აკრძალულია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ) ერთადერთი უწყებაა, რომელიც ინტროდუქციის პრევენციის მიზნით, გარემოში, გმო-ს შემცველობაზე მცენარეული სახეობების ინსპექტირებას ახდენს. მიმდინარე წელს ჩატარებული ინსპექტირების დროს აღებული სინჯების ლაბორატორიული კვლევებით დადგინდა, რომ გამოკვლეული არც ერთი სახეობა გენმოდირიცირებული არ არის.

რა არის ცოცხალი გენმოდირიცირებული ორგანიზმი და რა ზიანი მოაქვს გარემოსთვის

გმო არის ნებისმიერი ორგანიზმი, რომლის გენეტიკური მასალა, დნმ შეცვლილია ხელოვნურად, არაბუნებრივი მეთოდების, გენური ინჟინერიის გამოყენებით. გენური ინჟინერია ორგანიზმის გენების პირდაპირ მანიპულაციას გულისხმობს და რადიკალურად განსხვავდება მცენარეებისა და ცხოველების ახალი ჯიშების გამოყვანისგან, რადგან პირდაპირ, მოლეკულურ დონეზე ხდება გენში ჩარევა. გმო-ს მასობრივი წარმოება გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, თუმცა კვლევები, რა ზიანი მოაქვს ამ ორგანიზმებს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის, დღემდე გრძელდება. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს, რომ გენური ინჟინერიით მიღებული საკვები ისეთი მძიმე დაავადებების პროვოცირებას ახდენს, როგორიცაა უშვილობა, კიბო, ალერგია. გმო საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებასაც - საკვები კულტურების გენური მოდიფიცირება ანადგურებს სარეველებს, რომლებსაც ცხოველები საკვებად და თავშესაფრად იყენებენ. რისკი არის ისიც, რომ გენმოდირიცირებული მცენარეების გენები შეიძლება გავრცელდეს ველურ მცენარეებში, რაც გენეტიკურ დაბინძურებასა და ეკოსისტემების დისბალანსს გამოიწვევს. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნის ტერიტორია გმო-სგან თავისუფალ ზონად გამოეცხადებინა, აკრძალა ქვეყანაში გმო თესლის იმპორტი, გმო პროდუქტების საბაზრო ქსელში შეტანა, ან ასეთი საკვების ეტიკეტზე შესაბამისი ნიშნის დატანა, რათა მომხმარებელმა თავად აირჩიოს შეიძენს თუ არა გენური ინჟინერიით მიღებულ პროდუქტს.

კონტროლი საქართველოში

საქართველოში ცოცხალი გენმოდირიცირებული ორგანიზმების კონტროლის სფერო რეგულირდება საქართველოს კანონით „ცოცხალი გენმოდირიცირებული ორგანიზმების შესახებ“, რომელიც 2015 წელს ამოქმედდა. კანონის მიღების მიზანია გარემოსდაცვითი

პრინციპების გათვალისწინებით, მოხდეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ცხოველების, მცენარეებისა და გარემოს დაცვა გმო-ს უარყოფითი გავლენისაგან. ასევე - უზრუნველყოს გმო-ს გამოყენების სფეროში რიო-დე-ჟანეიროს „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციით, მონრეალის „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმითა“ და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება; ხელი შეუწყოს გმო-ს გამოყენების სფეროში არსებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას და ამასთან, შექმნას სამართლებრივი საფუძველი გმო-ს მეცნიერული კვლევისათვის. კანონი აწესრიგებს, გმო-ს ჩაკეტულ სისტემაში გამოყენებას, გარემოში ინტროდუქციას, საბაზრო ქსელში განთავსებას, ტრანსპორტირებასა და ტრანსსასაზღვრო გადაადგილებას. თითოეულ მიმართულებას აკონტროლებს მთავრობის სხვადასხვა უწყება.

საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია: გმო-ს გარემოში ინტროდუქცია (აკონტროლებს გზდ); გმო-ს იმპორტი, (გარდა ჩაკეტულ სისტემაში (სამეცნიერო მიზნები) გამოყენების მიზნით იმპორტის შემთხვევისა, რაზეც გაიცემა ლიცენზია (აკონტროლებს საბაჟო) და გმო-ს რეექსპორტი (აკონტროლებს საბაჟო). გმო-ს ტრანზიტის მიზნით ტრანსსასაზღვრო გადაადგილება კი, დაშვებულია.

დეპარტამენტი 2015 წლიდან ყოველწლიურად ამოწმებს გმო-ს გარემოში ინტროდუქციას. ამ მიზნით, ხდება სინჯების აღება ფიზიკური ან/და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან, ასევე უკვე აღებული მოსავლის განთავსების ადგილებიდან და მოწმდება ლაბორატორიულად.

დეპარტამენტი ასევე აკონტროლებს გმო-ს სატრანზიტო გადაზიდვისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებას. საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ფოთისა და ბათუმის საბაჟო გამშვები პუნქტების გავლით საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ვაგონებით ხდება გმო-ს

შემცველი სოიას ტრანზიტის უმეტესად აზერბაიჯანში. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ყოველ აღნიშნულ ფაქტზე, გაცემულია შესაბამისი წერილობითი თანხმობა ტრანზიტის განხორციელების შესახებ. გმო-ს (მარცვლეული) ქვეყნის შიგნით უსაფრთხო ტრანსპორტირების პროცესზე კონტროლი ხორციელდება როგორც გადმოტვირთვის, ასევე ტრანსპორტირებისა და ტვირთის მიერ ქვეყნის დატოვებისას შესაბამის საბაჟო გამშვებ პუნქტებში. ყოველ კონკრეტულ ფაქტზე სატრანზიტო გადაზიდვებთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

სტატისტიკა და 2025 წლის შედეგები

მიმდინარე წელს, დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის სპეციალისტებმა გარდაბნის, ხულოს, ოზურგეთის, ქარელის, ადიგენის, ახალციხის, აბაშის, სენაკის, ზუგდიდის, ზესტაფონის, წყალტუბოს, მცხეთის, დუშეთის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში 30 სინჯი აიღეს. აღებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე დათესილი კარტოფილის (4 სინჯი), სიმინდის (12 სინჯი), იონჯას (5 სინჯი), ხორბლის (5 სინჯი), ქერის (1 სინჯი), საზამთროს (2 სინჯი) და პომიდვრის (1 სინჯი) ნიმუშები. აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აღნიშნული კულტურების ნათესებში გმო-ს გარემოში ინტროდუქციის ფაქტი არ დაფიქსირდა, რაც ადასტურებს, რომ ისინი გმო-ს არ წარმოადგენს.

2015 წლიდან დღემდე დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ სულ შემოწმებულია 4923,93 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და აღებულია 332 ნიმუში. მათგან გმო მარკერები დადგინდა მხოლოდ იონჯას კულტურაში (2 შემთხვევა). ორივე ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა და მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

საპარამო საწყისები

ცოცხალი გენმოდირიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია, საცალო ქსელში განთავსება, იმპორტი ან რეექსპორტი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 207 პრიმა 2 მუხლის თანახმად, გმო-ს იმპორტი (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი ჩაკეტულ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტის შემთხვევისა) ან/

და რეექსპორტი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 5 წლამდე. თუ ამ დანაშაულს იურიდიული პირი ჩაიდენს, ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით. სსკ 289 პრიმა 1 მუხლი არეგულირებს ცოცხალი გენმოდირიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობას. ამ მუხლის თანახმად, გმო-ს ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან/და გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგი, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ორ წლამდე; გმო-ს ჩაკეტულ სისტემაში გამოყენება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე, რამაც გამოიწვია ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან/და გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისათვის მძიმე შედეგი, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ქონების ჩამორთმევით.

გმო-ს გარემოში ინტროდუქციაზე ან/და საბაზრო ქსელში განთავსებაზე სანქციათა თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან ხუთ წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 87 პრიმა 1 მუხლის თანახმად, გმო-ს ჩაკეტულ სისტემაში გამოყენებისას გმო-სადმი მოპყრობის სპეციალური მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 300-დან 800 ლარამდე. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს 800-დან 2000 ლარამდე ჯარიმის გადახდა მოუწევს; გმო-ს ჩაკეტულ სისტემაში გამოყენება შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ითვალისწინებს ჯარიმას 100-დან 1000 ლარამდე, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით ან უამისოდ. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, ჯარიმა 1000-დან 2000 ლარამდეა, ასევე - სამართალდარღვევის საგნის კონფისკაცია.

ასკ მუხლი 87 პრიმა 2 გმო-ს ტრანსპორტირების უსაფრთხოების პირობების დარღვევას აწესრიგებს, რაზეც ჯარიმა 350 ლარი, განმეორებით შემთხვევაში - 1000 ლარია.


სანქციები მოქმედებს გმო-ს ეტიკეტირების წესების დარღვევაზეც (ასკ მუხლი 87 პრიმა 3), რაზედაც ჯარიმა 750 ლარი, განმეორებით შემთხვევაში - 2000 ლარია.





გურჯაანში, 29 000 ჰა-მდე ფართობზე ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები მიმდინარეობს

ეროვნული სატყეო სააგენტოს 2025 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, გურჯაანის მუნიციპალიტეტში ტყის ინვენტარიზაციის სავსე სამუშაოები 29 000 ჰა-მდე ფართობზე მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მომავალი ათი წლისთვის ტყის მართვის გეგმა შემუშავდება, რაც სატყეო სამეურნეო საქმიანობის სწორად და ეფექტიანად წარმართვის საფუძველია.



ინვენტარიზაციის სამუშაოების მიმდინარეობას ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი კახა ცერცვაძე ადგილზე გაეცნო. სამუშაოებზე ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის სასწავლო პროგრამის ფარგლებში გადამზადებული 10 მეტყევე-ტექსატორია დასაქმებული. პროექტის ჯამური ღირებულება 605 000 ლარია.

„ინვენტარიზაციის სამუშაოების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2019-2024 წლებში გადამზადდა სატყეო განათლების მქონე 62 ახალგაზრდა, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოებზე დასაქმდნენ. დღეის მდგომარეობით, ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები 870 000 ჰა ფართობზეა განხორციელებული; განახლებულია მონაცემები ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიის 50%-თვის“, - აღნიშნა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა კახა ცერცვაძემ.

2025 წელს, ინვენტარიზაციის სამუშაოები სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე გურიაში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში, ჯამში, 127 000 ჰა-მდე ფართობზე განხორციელდება, რისთვისაც 1.550 მილიონი ლარი დაიხარჯება.



საქართველოს ტყის იშვიათი სახეობა ხემარწყვა (ARBUTUS ANDRACHNE L)



მანანასებრთა ოჯახის (Ericaceae) იშვიათი მცენარე, რომელიც საქართველოში ძალიან ვიწრო არეალით არის გავრცელებული. იგი 5-9 მ-მდე სიმაღლის ხე ან ბუჩქია, წითელი, გლუვი ღეროთი, რომელსაც ქერქი ზრდის პროცესში სცილდება. ფოთლები მარადმწვანეა, კვერცხისებრი ან ელიფსური ფორმის, შიშველია. ყვავილედ კენწრულია, მრავალყვავილიანი (საგველა), ყვავილი მოყვითალო-მოთეთრო, ნაყოფი - მაგარი, სფეროსებრი კენკრა, ბადისებრ დანაოჭული, რომელიც სიმწიფისას მარწყვის მსგავსად გამოიყურება, საიდანაც მოდის მცენარის სახელწოდება, თუმცა ნაყოფი საკვებად უვარგისია.

საქართველოში ხემარწყვა მხოლოდ აფხაზეთსა და აჭარაში გვხვდება. მცენარე რელიქტურია, რომელიც კოლხეთში ჯერ კიდევ მესამეულ პერიოდში გვხვდებოდა. მისი გავრცელების უახლოეს არეალებს ყირიმი და მცირე აზია წარმოადგენს. ყირიმში სამხრეთ სანაპიროს კლდოვან ფერდობებზე იზრდება, აფხაზეთში - გეგის ხეობასა და ბიჭვინთის სანაპიროს მიდამოებში.

საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე ხემარწყვა მხოლოდ აჭარაში ქმნის ერთ პატარა კორომს, რომელიც 1972 წელს იქნა დაფიქსირებული. იგი იზრდება აჭარისწყლის ხეობაში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ გორხანაულის

მიმდებარედ, სამხრეთის კლდოვან ფერდობებზე, ტყე-კლდის კომპლექსებში. გავრცელების ამპლიტუდა ზღვის დონიდან 450 - 600 მეტრია. სახეობა გავრცელებულია ფრაგმენტულად, სულ რამდენიმე ათეული ხით, 3 ჰა-მდე ფართობზე. ჰაბიტატი უნიკალურია - ხემარწყვასა და საკმელას მონაწილეობით. ფართობის შუაგულში იზრდება სამი ყველაზე დიდხნოვანი ძირი, 10-მეტრიანი ხე. ისინი ყვავილობენ, თუმცა ნაყოფი სრულ სიმწიფემდე ვერ აღწევს. დერო მოწითალო ფერის აქვს, თხელი და გლუვი. ამის გამო ადგილობრივი მოსახლეობა მას „ხეტიტველას“ ეძახის. ხემარწყვა აქ იშვიათად იძლევა ნაყოფს. თუმცა აჭარისწყლის ხეობაში ამ სახეობის არსებობა მიგვანიშნებს მანანასებრთა



ოჯახის მნიშვნელოვან კერაზე კავკასიაში, რომელიც ბუნების უიშვიათესი ცოცხალი ძეგლია.

ხემარწყვა მაღალდეკორატიული, თაფლოვანი მცენარეა. უკიდურესად ვიწრო არეალის გამო სახეობა შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი (EN) ტაქსონის სტატუსით.



**მყინვარები დედამიწის
უნიკალური გეოგრაფიული
ნაწილია, სადაც მოსული
მყარი ატმოსფერული
ნალექები დროთა
განმავლობაში ყინულად
გარდაქმნება. ისინი
მტკნარი წყლის უდიდეს
რეზერვუარებს და
მნიშვნელოვან ბუნებრივ
რესურსს წარმოადგენენ**



მყინვარები დედამიწაზე არათანაბრადაა განაწილებული. განსაკუთრებით მონყვალდია ანდები, ალპები, პირენეები და კავკასიონი. საქართველოში მყინვარები ძირითადად ენგურის, რიონის, კოდორისა და თერგის აუზებში მდებარეობენ, სადაც 3500 მეტრზე მაღალი მწვერვალებია.

მათი საერთო რაოდენობის 35.9% და ფართობის 62.8% ენგურის აუზს მიეკუთვნება.

საქართველოს მყინვარების შესწავლა 1860 წელს დაიწყო, ძირითადად სამხედრო გზების უსაფრთხოების მიზნით. იმ დროის ტექნოლოგიით კვლევა მხოლოდ მიწისპირა დაკვირვებით ხორციელდებოდა, რაც

დიდ დროს, რესურსებსა და გამოცდილ მთამსვლელებს მოითხოვდა და საკმაოდ ძვირადღირებული და საშიშიც იყო. წლების განმავლობაში კვლევებში მონაწილეობდა სხვადასხვა ორგანიზაცია: გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი, ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი და მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

გლობალური დათბობა, რომელიც XX საუკუნის შუა ხანებში დაიწყო, მყინვარების უკან დახევას იწვევს. მათი კვლევა დღეს მაღალი გარჩევადობის თანამგზავრებით ხდება, რაც საშუალებას აძლევს სპეციალისტებს საჭირო დროითი და სივრცითი მონაცემები მიიღონ.

მყინვარები კლიმატის ცვლილების

მგრძნობიარე ინდიკატორებია. ბოლო პერიოდში მაღალი ტემპერატურების გამო კავკასიონის პერიგლაციულ ზონებში გაიზარდა სტიქიური მოვლენების რისკი, რის გამოც გარემოს ეროვნული სააგენტო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ახორციელებს მყინვარული ხეობების მონიტორინგს. დაკვირვება მოიცავს მყინვარულ ტბებს, ნაპრალებს, კლდეზავურ პროცესებს, მყინვარის ენის დნობის (აბლაციის) დინამიკის შეფასებასა და ისტორიულ მონაცემებთან შედარებას.

სააგენტოს სპეციალისტები იყენებენ როგორც სავსე კვლევებს, ისე დისტანციური ზონდირების მეთოდებს. მათ შორის ძირითადად Landsat 8-ისა და Sentinel 2-ის მაღალი გარჩევადობის ორთოფოტოებს, GLIMS-სა და WGI მონაცემებს. კვლევა აერთიანებს მყინვარების უკან დახევის, ფართობის, სიგრძის, ექსპოზიციის და მორფოლოგიური ტიპის დადგენას.

საქართველოს მყინვარების დეგრადაციამ ბოლო წლებში გამოიწვია სტიქიური მოვლენები, მაგალითად ბუბას მყინვარის ნგრევა 2023 წელს, ასევე მსგავსი შემთხვევები იყო მესტიაში 2019 წელს და ყაბეგში 2014 წელს. ეს ხაზს უსვამს მყინვარების ინტენსიური კვლევის მნიშვნელობას.

ალგეთის ეროვნულ პარკში მოწყობილ კეთილშობილი კავკასიური ირმის საშენ მეურნეობას ორი ხარირემი შეემატა

კავკასიური ირმის საშენ მეურნეობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სახეობათა აღდგენის პროგრამის ფარგლებში, სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ინიციატივით შეიქმნა. საშენ მეურნეობა უკვე ირმის 9 ინდივიდს აერთიანებს: 2 ხარირირემსა და 7 ფურირემს.



კავკასიური კეთილშობილი ირმის აღდგენის პროგრამის პირველ ეტაპზე მათი რიცხვი 20-მდე გაიზარდა. მეურნეობა, რომელიც კავკასიის მასშტაბით ყველაზე დიდია, 72 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული, სრულად შემოღობილია და აღჭურვილია თანამედროვე მონიტორინგის სისტემებით, მათ შორის, ფოტოაფანგებით და კამერებით.

ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს უფროსის, რევაზ ბეჟაშვილის განცხადებით, მეურნეობაში შექმნილია ხელსაყრელი

პირობები ირმების გამრავლებისა და გარემოსთან ადაპტაციისთვის.

„სპეციალურად მოწყობილ გარემოში შეგვიძლია დეტალურად შევისწავლოთ ირმების ქცევა, სოციალური დინამიკა და ადაპტაციის ეტაპები. ეს ინფორმაცია მოგვცემს შესაძლებლობას, ვაწარმოოთ სახეობის ბუნებაში დაბრუნების პროცესი. მალე მყვირალობა დაიწყება და შემდეგი წლის გაზაფხულის მიწურულს პირველ

ნამატს ველოდებით“, - განაცხადა რევაზ ბეჟაშვილმა.

სტაბილური და მზარდი პოპულაციის ჩამოყალიბების შემდეგ, კეთილშობილი ირმის ინდივიდების ველურ ბუნებაში გაშვება სააგენტოს მიერ თანდათანობით მოხდება.

„საშენის გახსნის შემდეგ, შვიდმა ფურირემმა ადაპტაცია მარტივად გაიარა, რაც პოზიტიურ მოლოდინს ქმნის“, - განაცხადა თბილისის ზოოპარკის დირექტორმა, სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მთავარმა კონსულტანტმა ზურაბ გურიელიძემ.

ალგეთის ეროვნული პარკი კავკასიური კეთილშობილი ირმის აღდგენის პროგრამისთვის მიზანმიმართულად შეირჩა - ტერიტორია მდებარეობს თრიალეთის ქედის შუაგულში, სადაც ბუნებრივი ჰაბიტატები და მაღალი დაცულობის ხარისხი ქმნის ოპტიმალურ პირობებს როგორც პოპულაციის აღსადგენად, ისე მის დასაცავად.





ფაროსანას საწინააღმდეგო ლონისძიებების შედეგად, ფერმერებს სიმინდის მოსავალი სრულად შეუნარჩუნდათ

დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში სასიმინდე ფართობების აბსოლუტური უმრავლესობა დამუშავებულია, თუმცა, ღონისძიებები გრძელდება სასიმინდე კულტურების საგვიანო ჯიშის ნათესებში.

„უმეტეს ნათესებში მოსავლის აღების პერიოდი ახლოვდება და მავნებლის მიერ მოსავლის დაზიანების რისკი აღარ არსებობს. რაც შეეხება საგვიანო ჯიშის ნათესებს, ღონისძიებები

ინტენსიურად და ინსექტიციდების ლოდინის პერიოდის სრული დაცვით მიმდინარეობს“, - აღნიშნა სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ნიკოლოზ მესხმა.

შეწამვლის სამუშაოები აქტიურად ტარდება აბაშის მუნიციპალიტეტის ზანათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც რვა ერთეული სპეციალიზებული ტექნიკით სიმინდის მასივები მთელი სოფლის პერიმეტრზე ცივი შესხურების ტექნოლოგიით მუშავდება.

ღონისძიებების მიმდინარეობას და საყანე ფართობებში არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ სურსათის

ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ მესხი, ფაროსანას საწინააღმდეგო მართვის ცენტრის უფროსი დავით აშორდია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ამ ეტაპისთვის, სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო მართვის ცენტრის მიერ ქვეყნის მასშტაბით დამუშავებულია: ცივი შესხურებით - 74 ათას ჰა-მდე ტერიტორია (ტყის პერიმეტრი, ჯაგნარი, სოფლის პერიმეტრი, სიმინდის მასივი); თერმული ნისლით - 215 270 ჰა ტერიტორია; განთავსებულია 7474 „მონიტორინგის ხაფანგი“ და 152 117 „მოიზიდუ და გაანადგურე“ სადგური.



ლაჩხუთის მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილის ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 2 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორებისა და შემკრები ქსელის გაწმენდით სამუშაოებს ატარებს. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც მუნიციპალიტეტში ათეულ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურებას გაუმჯობესებს და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს.

2012-2024 წლებში, „საქართველოს მელიორაციის“ მიერ გურიის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 2175 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.



სოფელ შუა ხორგას ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 2 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხების გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს. გაწმენდილ არხებში წყლის შეუფერხებლად გადინების შედეგად, 35 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის და მიმდებარედ არსებული, დაახლოებით, 15 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საფრთხე აღარ იარსებებს. აღსანიშნავია, რომ, 2012-2024 წლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 12,395 ჰექტარი მიწის ფართობი.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სოფელ შუა ხორგას ტერიტორიაზე ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან 2 კილომეტრამდე სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხების გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებს. გაწმენდილ არხებში წყლის შეუფერხებლად გადინების შედეგად, 35 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის და მიმდებარედ არსებული, დაახლოებით, 15 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საფრთხე აღარ იარსებებს. აღსანიშნავია, რომ, 2012-2024 წლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 12,395 ჰექტარი მიწის ფართობი.



სადრენაჟე არხების განმედიდითი სამუშაოები სოფელ ერისიხედში

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ერისიხედში სასოფლო-სამეურნეო ფართობებიდან და საკარმიდამო ნაკვეთებიდან ჭარბი წყლის მოცილების სამუშაოებს ახორციელებს. ხე-მცენარეებისა და ბუჩქნარისაგან არხის დაახლოებით 1 კლომეტრიანი მონაკვეთი გაიწმინდა, მოეწყო საექსპლუატაციო გზა, არხზე გაკეთდა გადასასვლელი. ამ დროისთვის მიმდინარეობს ტოპო-გეოდეზიური გადამზერა, რის შემდეგაც შეირჩევა ადგილები, სადაც მოეწყობა დამატებითი დამბები და გაიჭრება ახალი სადრენაჟე კოლექტორები. სამუშაოების სრულად განხორციელების შედეგად, აღნიშნული ფართობების დატბორვის საშიშროება აღარ იარსებებს. აღსანიშნავია, რომ კახეთის რეგიონში, 2012-2024 წლებში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დამატებით 20 140 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობია წყალუბრუნველყოფილი, სარწყავი წყლის მიწოდება 16 285 ჰექტარზე გაუმჯობესდა, დრენირებული მიწის ფართობის რაოდენობა 8 725 ჰექტარია.



საქართველოს უნიკალური ბუნებრივი მემკვიდრეობა

საქართველო ბუნებრივი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეული ქვეყანაა. ყოველი კუთხე თავისი უნიკალური ლანდშაფტითა და სილამაზით გამოირჩევა, თუმცა განსაკუთრებული დატვირთვა დაცულ ტერიტორიებს აქვს – აქ მოგზაურობა ზღაპარში მოგზაურობას ჰგავს.

წარმოგიდგენთ ეროვნულ პარკებს, რომლებიც განსაკუთრებით სასიამოვნოა შემოდგომის პერიოდში და მოგზაურობისთვის საუკეთესო მიმართულებებს წარმოადგენს:

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილი პირველი საერთაშორისო სტანდარტის ეროვნული პარკია და ერთ-ერთი ყველაზე დიდია ევროპაში. ეს ადგილი ნამდვილი სამოთხეა ლაშქრობის მოყვარულთათვის.

პარკში 12 მარკირებული ბილიკი გადის, რომლებიც ყველაზე შთაბეჭდავ ლანდშაფტებსა და კუთხეებს აკავშირებს.

აქ მოწყობილია ტურისტული თავშესაფრები, საპიკნიკე და საკემპინგე სივრცეები, ასევე სპეციალურად გამოყოფილი ადგილები კოცონის დასანთებად.

ვიზიტორებს პარკი სთავაზობს ერთ და მრავალდღიან სალაშქრო, საცხენოსნო, ველო, თოვლის ფეხსაცმლის, კულტურულ და საგანმანათლებლო ტურებს. ლაშქრობა ბორჯომ-ხარაგაულში წლის ნებისმიერ დროს უნიკალური გამოცდილებაა.

აქ შეგიძლიათ დატკბეთ ულამაზესი პანორამული ხედებით, აქტიურად გაატაროთ დრო და სადამოს კომფორტულად დაბინავდეთ ტურისტულ თავშესაფარში. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი თავის სტუმრებს დაუვიწყარ თავგადასავლებს ჰპირდება.



ვაშლივანის ეროვნული პარკი



ველური ბუნებისა და თავგადასავლების მოყვარულთათვის ვაშლივანის ეროვნული პარკი საუკეთესო მიმართულებაა. პარკში შესვლისთანავე თქვენს წინ გადაიშლება უნიკალური ხედები და იგრძნობთ, რომ სრულიად ახალ სამყაროში აღმოჩნდით.

7 მარკირებული ბილიკი საშუალებას გაძლევთ აღმოაჩინოთ ეროვნული პარკის გასაოცარი გარემო, მისი უნიკალური ლანდშაფტები, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება. ვიზიტორებისთვის მოწყობილია ბუნგალოები, საკემპინგე და საპიკნიკე სივრცეები, რაც მოგზაურობას კომფორტულსა და დასამახსოვრებელს ხდის.

პარკი ნამდვილი სამოთხეა ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულთათვის - აქ მრავალი უნიკალური და იშვიათი სახეობა ბინადრობს.

თუ გსურთ აღმოაჩინოთ განსაკუთრებული ადგილი, რომელიც სრულიად ახალ შთაბეჭდილებებს გპირდებათ, ეწვიეთ ვაშლივანის ეროვნულ პარკს - აქ დაუვიწყარი თავგადასავლები გელოდებათ!



ალგეთის ეროვნული პარკი



თბილისიდან სულ 1 საათის სავალზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, დაბა მანგლისში მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკი.

პარკის ტერიტორია მდიდარია მთიანი რელიეფით, რომელიც მრავალი მდინარითა და ხევით გამოირჩევა.

მდინარე ალგეთის ხეობა და შერეული ტყით დაფარული მთები საოცარ ხედებს სთავაზობს ვიზიტორს, ხოლო ბირთვისის ციხისა და სამშვილდის კანიონის ხილვა წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებს.

წალკის კანიონი, ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დიდია. ის იდეალური ერთდღიანი სალაშქრო მიმართულებაა და მისი დალაშქვრა განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას ან სპეციალურ აღჭურვილობას არ საჭიროებს.

აქტიური დასვენების მოყვარულებს საშუალება აქვთ ეწვიონ „თოვების პარკს“, სადაც სიმაღლეზე მოწყობილი დაბრკოლებების გადალახვა მოგზაურობას კიდევ უფრო სახალისოსა და დაუვიწყარს გახდის.




ლაგოდების დასული ბარიტორიები



ლაგოდების დასული ბარიტორიები იდეალური ადგილია თავგადასავლებით აღსავსე უქმეების გასატარებლად. საქართველოსა და კავკასიაში პირველი დასული ბარიტორია სწორედ აქ, 1912 წელს, პოლონელი ნატურალისტის, ლუდვიგ მლოკოსევიჩის ინიციატივით დაფუძნდა.

პარკში გასეირნება საოცარი გამოცდილებაა - ხელუხლებელ წიფლნარსა და რცხილნარს შორის სიარული, ალაზნის ველისა და კავკასიონის მთების მომაჯადოებელი ხედების ყურება წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებს. პარკში ხუთი მარკირებული ბილიკია, რომლებიც საშუალებას გაძლევთ

დაათვალიეროთ ყველაზე საინტერესო ადგილები - როჭოს ჩანჩქერი, ნინოსხევის ჩანჩქერი, მაჭის ციხე და შავი კლდეების ტბა. ბარიტორიაზე მოწყობილია ბუნების შემეცნებითი ბილიკი, ხოლო ლაშქრობისას შეგიძლიათ ისარგებლოთ საპიკნიკე და საკემპინგე სივრცეებით.



კოლხეთის ეროვნული პარკი

შავი ზღვის ერთ-ერთი მთავარი საპორტო ქალაქის - ფოთის სიახლოვეს მდებარე კოლხეთის ეროვნულ პარკს, უძველესი კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი დაბლობების გამო, „ქართულ ამაზონსაც“ უწოდებენ. პარკი გამოირჩევა ველური ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით.



ანაკლიიდან სულ რაღაც 7 კმ-ის დაშორებით მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის ჭურიას ნაწილი. ულამაზესი და უჩვეულო სანახაობით ტკბობის გარდა, აქ თქვენ შესაძლებლობა გაქვთ თავი გამოსცადოთ „თოვების პარკის“ ატრაქციონზე, რომელიც შემეცნებით-გასართობი და ექსტრემალური ადგილია. პარკში შეგიძლიათ გასეირნოთ კატერით ან პონტონით პალიასტომის ტბასა და მდინარე ფიჩორზე და დატკბეთ თვალწარმტაცი ხედებით.

კოლხეთის ეროვნული პარკი საუკეთესო ადგილია ფრინველებზე დაკვირვებისთვისაც - ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე აქ ჩრდილოეთ ვერაზიასა და აფრიკას შორის მიმომფრენი მრავალი სახეობის ფრინველი იყრის თავს. თუ ჯერ არ გიმოგზაურიათ და არ აღმოგიჩენიათ საქართველოს ეს უნიკალური ადგილები, დაგეგმეთ მოგზაურობა დაუვიწყარი მოგონებებისა და შთაბეჭდილებების შესაქმნელად.



რძის პროდუქტებში აფლატოქსინის რისკის მინიმიზაციის რეკომენდაციები

ცხოველთა საკვების წარმოება და შენახვა



მიკოტოქსინები არის ობის სოკოების მიერ წარმოქმნილი ტოქსინები, რომლებიც სურსათში მოხვედრისას საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანებს, ისე ცხოველებს. მათ შორის ყველაზე საშიშია აფლატოქსინები, რომლებიც წარმოიქმნება *Aspergillus flavus* და *Aspergillus parasiticus*-ის მიერ.

არსებობს აფლატოქსინის რამდენიმე ტიპი: B1, B2, G1, G2, M1 და M2.

- B1, B2, G1 და G2 გვხვდება მარცვლეულში და მის პროდუქტებში;
- M1 და M2 კი – რძესა და რძის პროდუქტებში, როცა პირუტყვი იკვებება დაბინძურებული საკვებით.

აღნიშნული ტოქსინები აბინძურებენ მცენარეული და ცხოველური საკვები პროდუქტების ფართო სპექტრს მათ შორის: სიმინდი, სორგო, ფეტვი, ბრინჯი, ხორბალი, სოიო, არაქისი, მზესუმზირა, წიწაკა, კურკუმა, ქინძი, კოჭა, თხილი, ნუში, კაკალი, ფსტა, ქოქოსი და სხვ. ასევე სხვადასხვა რძის პროდუქტებს.

აფლატოქსინ M1, იგივე რძის ტოქსინი, წარმოადგენს - აფლატოქსინ B1-ის (AFB1) მეტაბოლიტს და რძეში ხვდება მერძეული პირუტყვისგან, რომელიც იკვებებოდა აფლატოქსინებით დაბინძურებული მარცვლეულით.

რძის პროდუქტებში აფლატოქსინის რისკის მინიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია ცხოველთა საკვების წარმოებისა და შენახვის კარგი პრაქტიკის გამოყენება. კერძოდ, ყურადღება უნდა მიექცეს აფლატოქსინ B1-ის კონცენტრაციას მერძეული

ცხოველის საკვებ რაციონში, რადგან



როგორც კვლევები ადასტურებენ, ცხოველის მიერ საკვებიდან მიღებული AFB1-ის 0,17%-დან 3,3%-მდე გადადის რძეში აფლატოქსინ M1-ის სახით.

ცხოველთა საკვებში AFB1-ით დაბინძურების შესამცირებლად საჭიროა რისკების მართვა მარცვლეულის წარმოების ყველა ეტაპზე. კერძოდ, მინდორში კარგი პრაქტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად ამცირებს მცენარის დასნებოვნებასა და მარცვლეულის AFB1-ით დაბინძურებას მოსავლის აღებამდე, რომელიც შემდგომ შესაძლოა უფრო გამწვავდეს არასათანადო შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების გამო.

მარცვლეულის მიკოტოქსინებით დაბინძურება გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. მსოფლიოში წარმოებული მარცვლეულის დაახლოებით 70% გამოიყენება ცხოველთა საკვებად. მიუხედავად მარცვლეულის წარმოების მზარდი დინამიკისა, მოსავლის დაახლოებით 25% იკარგება მიკოტოქსინებით დაბინძურების გამო.

ასობით იდენტიფიცირებული მიკოტოქსინიდან გავრცელებით, ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენითა და აგრო-ეკონომიკური თვალსაზრისით საყურადღებოა აფლატოქსინები, ოხრატოქსინ-A, პატულინი, ფუმონისინი, ზერალენონი.

მნიშვნელოვანია რძის პროდუქტებში აფლატოქსინის რისკის მინიმიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინება. ცხოველთა საკვების წარმოება და შენახვა კარგ სასოფლო-სამეურნეო და კარგ საწარმოო პრაქტიკასთან (GAP, GMP) ერთად

უნდა დაეფუძნოს მენეჯმენტის დამატებითი სისტემის განვითარებას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა.

რძის პროდუქტებში აფლატოქსინის რისკის მინიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია ცხოველის საკვებში AFB1-ით დაბინძურების შესამცირებლად რისკების მართვა მარცვლეულის წარმოების ყველა ეტაპზე:

თხსვის ეტაპი

- თესლობის მისაღებად საერთო დაავადებების მიმართ მგძნობიარე კულტურების დათესვა ორ თანმიმდევრულ წელს. ხორბალი და სიმინდი განსაკუთრებით მგრძნობიარეა *Fusarium* -ის სახეობების მიმართ, ამიტომ ისინი ერთმანეთის მონაცვლეობით არ უნდა დაითესოს. კულტურები, როგორიცაა კარტოფილი, სხვა ბოსტნეული, სამყურა და იონჯა არ არიან *Fusarium*-ის სახეობების მასპინძელი და შეიძლება იქნენ გამოყენებული შესანაცვლებლად, რათა შემცირდეს ინფექციის წყაროს კონცენტრაცია ნიადაგში;
- მოსავლის აღების შემდეგ, ნიადაგი უნდა გაიწმინდოს მოსავლის ნარჩენებისაგან, რაც პოტენციურად ხელსაყრელი სუბსტრატია მიკოტოქსინების წარმომქნელი სოკოების განვითარებისათვის;
- კულტურების თესვა, დარგვა უნდა განხორციელდეს აგროვადებში, სათანადოდ დამუშავებულ, განოყიერებულ, ტენით უზრუნველყოფილ ნიადაგებზე, ადგილობრივი კლიმატურ-ნიადაგური პირობებისთვის რეკომენდირებული ჯიშებით, მცენარეებს შორის რეკომენდირებული მანძილის შენარჩუნებით .

მოსავლის მოყვანის ეტაპი

- მცენარეთა მავნებელ-დაავადებების, სარეველების საწინააღმდეგოდ გამოყენებული უნდა იქნეს დაცვის ინტეგრირებული მიდგომები;
- ნიადაგის დამუშავების დროს მინიმუმამდე უნდა შემცირდეს მცენარეების მექანიკური დაზიანება;
- ირიგაცია, ფერტიგაციის დროს წყალი და საკვები ნივთიერებები (ორგანულ-მინერალური სასუქები) თანაბრად და ადეკვატური რაოდენობით უნდა მიეწოდოს მცენარეებს;
- მარცვლეულის მოსავლის აღება უნდა განხორციელდეს დაბალი ტენიანობისა და სრული სიმწიფის ფაზაში. გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოსავლის სრულ სიმწიფემდე მიყვანა მასზე ექსტრემალური სიციხის, წვიმის ან გვალვის ზემოქმედების რისკებს

უკავშირდება;

- Fusarium* სახეობებით უკვე დასნებოვნებული მოსავლის დაგვიანებულმა აღებამ შესაძლოა გამოიწვიოს მასში მიკოტოქსინების კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ზრდა.

მოსავლის აღება

- სათავსოები, რომლებიც გამოიყენება მოსავლის აღებისას, მინდვრიდან საშრობ ობიექტებამდე და გაშრობის შემდეგ შესანახ ობიექტებში გადასატანად, გამოყენებამდე უნდა იყოს სუფთა, მშრალი, მწერებისა და ხილული სოკოვანი ნადებისგან თავისუფალი;
- მოსავლის აღების დროს, შეძლებისდაგვარად, უნდა ვერიდოთ მარცვლის მექანიკურ დაზიანებასა და მის ნიადაგთან კონტაქტს. აგრეთვე, სათანადო ზომები უნდა იყოს მიღებული თესლის, ღეროებისა თუ მცენარის სხვა ინფიცირებული ნაწილების ნიადაგში გავრცელების შესამცირებლად, რადგან სპორებმა შესაძლოა დააინფიცროს შემდეგი წლის მოსავალი;
- მოსავლის აღებისთანავე რამდენიმე ადგილიდან აღებულ სინჯებში უნდა განისაზღვროს მარცვლეულის ტენიანობის დონე;
- მოსავალი უნდა გაშრეს ტენიანობის იმ მაჩვენებელამდე, რომელიც რეკომენდირებულია კონკრეტული კულტურის შესანახად;
- პარტიის შიგნით, ტენიანობის ცვალებადობის შემცირების მიზნით, მარცვალი გაშრობის პროცესის შემდეგ შესაძლებელია შესანახ ობიექტში მისი გადატანა;
- მარცვლეული ისე უნდა გაშრეს, რომ დაზიანება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი;
- შენახვის დროს, მარცვლის ტენიანობის დონე ობის სოკოს ზრდისთვის საჭირო დონეზე დაბალი უნდა იყოს (ძირითადად 15%-ზე ნაკლები). ეს მნიშვნელოვანია მრავალი სახეობის სოკოს (განსაკუთრებით *Fusarium*-ის სახეობების) ზრდის პრევენციისათვის, რომლებიც შესაძლოა იყოს მარცვლებზე;
- ახლად აღებული მოსავალი უნდა გაიწმინდოს დაზიანებული მარცვლეულისა და სხვა უცხო მინარევებისაგან.

მარცვლეულის შენახვის ეტაპი

- გაშრობამდე მოერიდეთ ახლად აღებული მოსავლის დიდი ხნით გროვის სახით დატოვებას, რაც ზრდის სოკოს განვითარების რისკებს;
- მარცვლეულის სქელი ფენის მზებზე გაშრობამ მაღალი ტენიანობის პირობებში შეიძლება გამოიწვიოს სოკოვანი ინფექციები. რეკომენდირებულია მოსავლის ხელოვნურად აერაცია;
- მარცვლეულის შესანახი ადგილი იყოს მშრალი და კარგად ვენტილირებადი;

დაცული წვიმის, მიწისქვეშა წყლების, მდრნელების, ფრინველების შეღწევისა და ტემპერატურის მინიმალური ცვალებადობისაგან;

- შესანახი კულტურები უნდა გაშრეს ტენიანობის უსაფრთხო დონემდე და გაცივდეს რაც შეიძლება სწრაფად მოსავლის აღების შემდეგ;
- მოსავლის შეფუთვის შემთხვევაში, შესაფუთი ჩანთები/ტომრები უნდა იყოს სუფთა, მშრალი. ასევე, მოთავსებული უნდა იყოს პალეტებზე. იატაკზე მოთავსების შემთხვევაში, იატაკსა და ჩანთებს შორის უნდა იყოს წყალგამტარი ფენა;
- შეძლებისდაგვარად, შესანახ ბონაში, ჰაერის ცირკულაციის საშუალებით უნდა განივდეს მარცვლეული, სათანადო და თანაბარი ტემპერატურის დონეების

შესანარჩუნებლად. შენახვის პერიოდში რეგულარულად უნდა შემოწმდეს შენახული მარცვლის ტენიანობა და ტემპერატურა;

- შენახვის დროს, მარცვლების ტენიანობა უნდა განისაზღვროს რამდენიმე ფიქსირებული დროის ინტერვალით;
- 2-3°C -ით ტემპერატურის მატება შესაძლოა მიუთითებდეს მიკრობების ზრდასა ან/და მწერების შეჭრაზე;
- ინფიცირებული მარცვლეული უნდა განცალკევდეს მოსავლის დანარჩენი არადაზიანებული ნაწილისგან;
- ინფიცირებული მარცვლეულის გამოყენება სურსათისა ან ცხოველის საკვების წარმოებისთვის დაუშვებელია;
- შესანახ ობიექტებში უნდა განხორციელდეს ფიტოსანიტარული პროცედურები მწერებისა და სოკოების

შესამცირებლად;

- სიფრთხილით, დიდი ყურადღებით უნდა შეირჩეს ქიმიკატები, რომლებიც საბოლოოდ მარცვლეულის გამოყენების საფრთხეებს არ შექმნის;
- ყოველ სეზონზე უნდა წარმოებდეს განხორციელებული პროცედურების (მოსავლის აღებისა და შენახვის) დოკუმენტირება, რომელშიც ასახული იქნება სხვადასხვა ინფორმაცია ტემპერატურისა და ტენიანობის, ტრადიციული პრაქტიკიდან გადახრის ან რამე ცვლილების შესახებ. მსგავსი ინფორმაცია სასარგებლო იქნება, კონკრეტულ წელში სოკოს ზრდისა და მიკოტოქსინების წარმოქმნის მიზეზების ახსნისთვის, რათა მომდევნო წლებისთვის თავიდან აირიდოთ დაშვებული შეცდომები.



ზილენით მკვდარი ცხოველის მკვლელობა სახელმწიფოსგან კომპენსაცია პირველად მიიღო

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის (NAITS) პროექტის მხარდაჭერით, ჯილენით მკვდარი ცხოველების მეპატრონეებ კომპენსაცია გასცა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის N332 დადგენილების შესაბამისად იქნა მიღებული. დადგენილება 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და ითვალისწინებს სახელმწიფოსგან კომპენსაციის გადახდას ცხოველის ჯილენით სიკვდილის შემთხვევაში.

მსხვილფეხა საქონლის დაცემის ფაქტი მიმდინარე წლის ივნისში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში დაფიქსირდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს ვეტერინარებმა, შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნულ მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა საქონლის პათოლოგიური მასალა აიღეს და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გადააგზავნეს. ლაბორატორიული კვლევით ჯილენი დადასტურდა. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, მეპატრონის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება კომპენსაციის გაცემის შესახებ. მეპატრონემ კომპენსაცია უკვე მიიღო.

საქართველოს მთავრობის N332 დადგენილებით, 2024 წლის 1 იანვრიდან, ცხოველის ჯილენით სიკვდილის შემთხვევაში, კომპენსაციის მიღება შეუძლიათ ფერმერებს:

- რომელთა პირუტყვი იდენტიფიცირებულია საყურე ნიშნით;
- ინფორმაცია ცხოველისა და ფერმერის შესახებ აღრიცხულია ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში და ფერმერს უარი არ აქვს ნათქვამი ცხოველის ვაქცინაცია/რევაქცინაციაზე;
- ცხოველის მფლობელი/მომვლელი ვალდებულია ცხოველის შესაძლო ინფიცირების ან სიკვდილის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვოს შესაბამისი ეპიდემიოლოგიური

სამუშაოების გატარება;

- კომპენსაციის მისაღებად ჯილენის შემთხვევა უნდა დადასტურდეს ლაბორატორიულად.

ჯილენი (ციმბირული წყლული) ინფექციური დაავადებაა, რომლითაც ავადდებიან შინაური და გარეული ცხოველები. ჯილენით ავადდება ადამიანიც. ადამიანის დაინფიცირება ძირითადად დაავადებული ცხოველის დაკვლის ან მისი ხორცის გამოყენების შედეგად ან დაბინძურებული ნიადაგიდან ხდება.

სააგენტოს მიერ ჩატარებული ყოველწლიური ვაქცინაციისა და ერთიანი ჯანმრთელობის ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების შედეგად, ცხოველის ჯილენით დაავადების შემთხვევები, 2013 წელთან შედარებით, 94%-მდე შემცირებული.



2025 წლის 29 ივლისიდან 22 სექტემბრის ჩათვლით, მიუსაფარი და მიკედლებული ცხოველების პოპულაციის მართვის საპილოტე პროგრამის ფარგლებში, აჭარის, იმერეთის, კახეთის რეგიონებში აყვანილი და თავშესაფარში გადაყვანილია 2839 ცხოველი, სადაც მათ შესაბამისი ვეტერინარული მანიპულაციები ჩაუტარდათ:

2 839 აიცრა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით; 2 811 გაუკეთდა იდენტიფიკაცია.დაედო საყურე ნიშანი (28 ძაღლს ჰქონდა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დადებული საყურე ნიშანი); 2 628 გაუკეთდა სტერილიზაცია/კასტრაცია; 2 679 დაბრუნდა გარემოში; 160 შესაბამისი მანიპულაციების შემდეგ დაუბრუნდება გარემოს.

2026 წლის პირველი იანვრიდან ვეტერინარების სერტიფიცირება სავალდებულო ხდება

საქართველოს მთავრობის N288 დადგენილების „ვეტერინარისა და ვეტერინარი ტექნიკოსის საქმიანობისთვის სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარებისა და მათი პროფესიული განვითარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, 2026 წლის პირველი იანვრიდან, ვეტერინარის საქმიანობა სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე აიკრძალება.

ვეტერინარის სახელმწიფო სერტიფიკატის მისაღებად პირი ვალდებულია, მიმართოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს და წარუდგინოს დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტები:

- „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი დიპლომი;
- ვეტერინარის სერტიფიკატი ან შესაბამისი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2026 წლის იანვრამდე სახელმწიფო სერტიფიკატი გაიცემა სახელმწიფო გამოცდის ჩატარებისა და უწყვეტი პროფესიული განათლების პროგრამაში

მონაწილეობის გარეშე. სერტიფიკატის მოქმედების ვადა 2030 წლის პირველ იანვრამდე განისაზღვრება.

წესი არ ვრცელდება:

- საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასაქმებული ვეტერინარების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული ვეტერინარების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, პროგრამების/პროექტების (რომლებიც უშუალოდ



არ ეწევიან ვეტერინარულ პრაქტიკას) ვეტერინარების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

ვეტერინარის საქმიანობის სერტიფიცირება ხელს შეუწყობს:

საერთაშორისო სტანდარტის ვეტერინარული სერვისების მიწოდებას, მოქალაქეებისა და ცხოველთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, არაკვალიფიციური პრაქტიკის აღკვეთას, ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი პირების უფლებების დაცვას.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ: <https://nfa.gov.ge>





საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მდიდარია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს.



ინდური მაჩვზღარბა

ინდური მაჩვზღარბა (Hystrix indica). მაჩვზღარბა ძუძუმწოვარი ცხოველია, მღრღნელების რიგიდან. მათი სხეულის სიგრძე საშუალოდ 38-71 სმ-ია, ხოლო წონა 27 კილოგრამს აღწევს. მისი ზურგი, გვერდები და კუდი დაფარულია გრძელი და მსხვილი რქოვანი ეკლებით, რომლებსაც მტაცებლებისგან თავდასაცავად იყენებს. სხეულის დანარჩენი ნაწილი კი - ჯაგრით. გავრცელებული არიან აფრიკაში, სამხრეთ ევროპაში, წინა, შუა და სამხრეთ აზიაში. ბინადრობენ უდაბნოებში, სავანეებში, ტყეებში. საქართველოში ეს სახეობა პირველად 2000 წლებში დააფიქსირა ფოტოხაფანგმა, რის მერეც პერიოდულად ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც დაცულ ტერიტორიებზე ისე მის ფარგლებს გარეთ. მაჩვზღარბა ღამის ცხოველია და საკვების საძებნელად შებინდებისას გამოდის. იკვებება მცენარეებით, მარცვლეულით, მცირე ზომის

ხერხემლიანებითა და მწერებით. ორგანიზმში კალციუმის მარაგის შესავსებად აგროვებს და ღრღნის ძვლებს. ისინი წელიწადში ერთხელ მრავლდებიან და შობენ საშუალოდ 1 – 2 ნაშიერს. დღესდღეობით მონაცემთა სიმწირის გამო, არსებულ სახეობაზე და მის გავრცელების ზუსტ არეალზე, საქართველოში საკმარისი მონაცემები არ გვაქვს. მნიშვნელოვანია მისი კვლევა, საკვები რაციონის, რაოდენობისა და გავრცელების ზუსტი არეალების დასადგენად, რაც მომავალში დაგვეხმარება საჭიროების შემთხვევაში პოპულაციების მართვასა და ისეთი საფრთხის თავიდან ასარიდებლად, როგორიცაა მაჩვზღარბების მიერ საკმლის ხეების (Pistacia mutica) მერქნის შემოდღნა და წითელი ნუსხით დაცული სახეობის პოპულაციისთვის საფრთხის შექმნა. დღეისათვის სახეობას მსოფლიო და რეგიონულ დონეზე LC (მინიმალური საფრთხის წინაშე) სტატუსი აქვს მინიჭებული.



დალის ხვლიკი

დალის ხვლიკი - Darevskia dahli. დალის ხვლიკი მცირე ზომის ხვლიკია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე თრიალეთის ქედსა და მის განშტოებებზე, ასევე საგურამოს ქედზე გვხვდება. მათ საარსებო ჰაბიტატს ზღვის დონიდან დაახლოებით 800 მეტრზე არსებული ტყეები და მდელოები წარმოადგენს. საკმაოდ ვიწროარეალიანი სახეობაა და საცხოვრებლად ძირითადად კლდეებს ირჩევენ. ეროვნული კონსერვაციული სტატუსია-

მოწვლადი სახეობა (VU), ხოლო საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსით შეფასებულია როგორც საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT). დალის ხვლიკი საკმაოდ საინტერესო გამრავლების მექანიზმით გამოირჩევა, რაც სახეობისადმი მეცნიერების ინტერესს ამძაფრებს. იგი პართენოგენეზული (ერთსქესიანი) ხვლიკია. ბუნებაში ცხოვრობენ მხოლოდ მდედრები, რომლებიც გაუნაყოფიერებელ კვერცხებს დებენ, საიდანაც ისევ მდედრები იჩეკებიან.



შამილის წმინდადმახვიარა

შამილის წმინდადმახვიარა - Phassus schamyl. ამ პეპლის სახეობას კავკასიურ წმინდადმახვიარასაც უწოდებენ. გარდა მისი უცნაური სახელისა მის უნიკალურობას ისიც განაპირობებს, რომ იგი კოლხეთის ენდემურ სახეობასა და რელიქტს წარმოადგენს. გავრცელებულია კავკასიის შავიზღვისპირა ზოლში, საქართველოს სამხრეთ მთიანეთში, ლოკალურად ბორჯომის ხეობაში, უფრო კონკრეტულად კი ბანისხევში. მის ტიპურ ჰაბიტატს კოლხური ტყის ზონის

ბიოტიპები წარმოადგენს ზღვის დონიდან 1600 მეტრამდე. საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსი სახეობას არ აქვს მინიჭებული რადგან იგი მეცნიერების მიერ კარგად შესწავლილი არაა. იქიდან გამომდინარე, რომ საკმაოდ მცირე გავრცელების არეალით ხასიათდება შამილის წმინდადმახვიარას ეროვნულ დონეზე მინიჭებული აქვს მოწვლადი სახეობის სტატუსი (VU).



ეიხლერის ტიტა

ეიხლერის ტიტა - Tulipa eichleri ამ მცენარის გავრცელების არეალი საქართველოში მოიცავს: ქიზიყს; ქვემო ქართლს; ქართლში: მცხეთას და საგურამოს მიდამოებს. საქართველოს საზღვრებს გარეთ მისი ნახვა მხოლოდ აზერბაიჯანშია შესაძლებელი. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში მშრალ ქვიან ეკოტოპებზე, კლდოვან ფერდობებზე, ბუჩქნარებში, სტეპებში, იშვიათად ნათესებში. აღსანიშნავია, რომ ეიხლერის ტიტა კავკასიის ენდემური სახეობაა. საქართველოში ორი სახეობა გვხვდება. ეიხლერის ტიტა იშვიათი, მრავალწლოვანი,

ბოლქვიანი დეკორატიული მცენარეა. აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიის ენდემური სახეობაა. მისი პოპულაციები დაცულია საგურამოს ნაკრძალში და ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე. დეკორატიულია, გვხვდება იშვიათად, ერთეულად ან მცირე ჯგუფებად. პოპულაციების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი ყვავილების მასობრივი შეგროვება და ადგილსამყოფელის პირობების დარღვევაა. საერთაშორისო კონსერვაციული სტატუსი სახეობას არ აქვს მინიჭებული მასზე მონაცემების არარსებობის გამო (NE), ხოლო ეროვნული კონსერვაციული სტატუსით სახეობა შეფასებულია, როგორც საფრთხეში მყოფი (EN).